INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

№20151205 07 დეკემბერი 2015 წ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) წლების განმავლობაში საქმიანობს სახელმწიფო არქივების ღიაობაზე, არქივებში დაცულ დოკუმენტებთან წვდომის გაზრდაზე, სახელმწიფო არქივების მოდერნიზებაზე და XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლის მიმართულებით.

IDFI-ის კვლევის ერთ-ერთი სფეროს წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა ისტორია, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდის რეპრესიები. ორგანიზაციას გამოქვეყნებული აქვს არაერთი კვლევა, დოკუმენტების კრებული თუ მონოგრაფია, რომელიც ეხება საქართველოს საბჭოურ პერიოდს.

როგორც ცნობილია, 1923 წლის 20 მაისს ბოლშევიკებმა ვაკის პარკში დახვრიტეს საქართველოს დამოუკიდებლობის სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელები:

1. ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის-ძე. 51 წლის. გენერალური შტაბის ყოფილი გენერალი.
2. წულუკიძე ვარდენ გრიგოლის-ძე. 57 წლის. ყოფილი გენერალი.
3. ხიმშიაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე - 31 წლის. ყოფილი პოლკოვნიკი.
4. მუსხელიშვილი როსტომ ილიას-ძე. 35 წლის. გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკი.
5. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე. 55 წლის. ყოფილი გენერალი, ყოფილი მარშალი. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის.
6. ზანდუკელი მიხეილ ნიკოლოზის-ძე. 39 წლის. სამხედრო უმცროსი მოხელე.
7. ბაგრატიონ-მუხრანელი სიმონ ლევანის-ძე. 27 წლის. ყოფილი ოფიცერი.
8. ყარალაშვილი ფარნაოზ ლევანის-ძე. 24 წლის. ოფიცერი.
9. კერესელიძე იასონ მათეს-ძე. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.
10. ქუთათელაძე ივანე გრიგოლის-ძე. 40 წლის. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

Institute for Development of Freedom of Information
3, Al. Griboedov Street, 0108, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 292 15 14 • info@idfi.ge

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ალ. გრიბოედოვის ქ. № 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ. +995 32 292 15 14 • info@idfi.ge

www.idfi.ge

11. ჭიაბრიშვილი სიმონ (ნასყიდ) იაგორის-ძე. – 42 წლის. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი.

12. მაჭავარიანი ალექსანდრე მიხეილის-ძე. 51 წლის. ყოფილი პოლკოვნიკი.

13. გულისაშვილი ელიზბარ ზაქარიას-ძე. 32 წლის. ყოფილი პოლკოვნიკი.

14. კლიმიაშვილი ლევან ირაკლის-ძე. 26 წლის. ყოფილი ოფიცერი.

15. ჩრდილელი დიმიტრი ნიკოლოზის-ძე. 29 წლის. ყოფილი ოფიცერი.

იმისთვის, რომ სათანადო ღირსეული პატივი მივაგოთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლაში თავდადებულ ჩვენს სახელოვან გმირებს მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ზემოთჩამოთვლილ პირების საცხოვრებელ მისამართზე ქ. თბილისში განთავსდეს მემორიალური დაფები.

ამ ეტაპზე მემორიალური დაფები განთავსებულია ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან მხოლოდ 3 საცხოვრებელ სახლთან, კერძოდ:

1. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე- დღევანდელი ლ. ასათიანის ქ. 46 (ყოფილი ბებუთოვის ქ. 46)
2. მუსხელიშვილის როსტომ ილიას ძე - კოჯრის ქ. 4.
3. გულისაშვილი ელიზბარ ზაქარიას ძე - ძმები კაკაბაძეების ქ. 15 (ყოფილი მოსკოვის ქ. 15)

აღნიშნული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDF) მოიძია საარქივო მასალები, რომლის მიხედვითაც დასტურდება ზემოთ ჩამოთვლილი პირებიდან კიდევ რამდენიმე პირის მისამართი:

1. წულუკიძე ვარდენ გრიგოლის-ძე - დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზ. 117, ყოფილი მიხეილის 117.

2. ხიმშიაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე - დღევანდელი ჭონქაძის 12, ყოფილი გუდოვიჩის 12

3. ბაგრატიონ-მუხრანელი სიმონ ლევანის-ძე – დღევანდელი დავით თორაძის ჩიხი 3, ყოფილი ევგენის ჩიხი 3.

4. ყარალაშვილი ფარნაოზ ლევანის-ძე - დღევანდელი ჯავახიშვილის 33, ყოფილი ნიკოლოზის 33.

5. კერესელიძე იასონ მათეს-ძე – დღევანდელი მ. ლაღიძის ქ. 7, ყოფილი კრუზენშტერნის 7.

გამომდინარე იქიდან, რომ იასონ კერესელიძესთან ერთად, ზემოთაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა ასევე მისი ძმა, ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ დამაარსებელი ლეო კერესელიძე, მიზანშეწონილია აღნიშნულ მისამართზე გაკეთდეს ასევე მისი მემორიალური დაფაც.

6. ქუთათელაძე ივანე გრიგოლის-ძე - დღევანდელი ჭოველიძის ქ. 39, ყოფილი ბელინსკის 39.

7. კლიმიაშვილი ლევან ირაკლის-ძე – დღევანდელი ვ. ბარნოვის ქ. 34, ყოფილი გუნიბის 34.

აღნიშნულ მისამართზე ძველი სახლის მაგივრად აშენებულია ახალი სახლი, მაგრამ მემორიალური დაფა შესაძლებელია გაკეთდეს სახლის გვერდით არსებულ ძველ კედელზე.

8. ჩრდილელი დიმიტრი ნიკოლოზის-ძე - დღევანდელი გ. ლორთქიფანიძის 6, ყოფილი ლერმონტოვის ქ. 20.

ამ ეტაპზე ცნობილია ორი რეპრესირებული სამხედრო პირის საცხოვრებელი მისამართის ყოფილი სახელწოდება ქ. თბილისში, მაგრამ არ არის ცნობილი მისამართების დღევანდელი ადგილმდებარეობა. კერძოდ:

1. ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე- ყოფილი ოლღას ქ 33, დღევანდელი მ. კოსტავას გამზირი

2. მაჭავარიანი ალექსანდრე მიხეილის-ძე – ყოფილი ოლღას ქ. 40, დღევანდელი მ. კოსტავას გამზ.

მიმდინარეობს საცხოვრებელი მისამართების დადგენა შემდეგ პირებზე:

1. ჭიაბრიშვილი სიმონ იაგორის-ძე.
2. ზანდუკელი მიხეილ ნიკოლოზის-ძე.

წერილთან ერთად წარმოგიდგენთ საარქივო დოკუმენტებს, ფოტო მასალას, ინფორმაციას ზემოთ ჩამოთვლილ სამხედრო პირებზე.

იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისის საკრებულო იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას საბჭოთა რეპრესირების მსხვერპლი ჩვენი სახელოვან წინაპრების საცხოვრებელ ბინებზე მემორიალური დაფების გაკეთებაზე.

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას ამ მნიშვნელოვან საქმეში დახმარებისთვის და მხარდაჭერისთვის.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი